

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკომისიის

TEMPUS CIBELES -ის პროექტში 2010–2013 წწ

**TEMPUS PROJECT CIBELES JEP 51117**

*“Curriculum Invoking Bologna aligned Education Leading to reform in Environmental Studies (CIBELES)”.*

**სატყეო საქმის კურიკულუმების დახვეწა ბოლონიის პროცესის**

**სტანდარტების შესაბამისად**

პროექტმა მუშაობა დაიწყო 2010 წლის 15 ოქტომბერს, ხელშეკრულება გაფორმდა 2010 წლის 25 დეკემბერს და სრულდება 2013 წლის 14 ოქტომბერს.

პროექტში მონაწილეობენ:

1. საქართველო;
2. ყაზახეთი;
3. ყირგიზეთი;
4. უზბეკეთი;
5. ტაჯიკეთი;
6. პოლონელი, უნგრელი და გერმანელი ექსპერტები.

თითოეული ქვეყნიდან პროექტში მონაწილეობს 2 უნივერსიტეტი. საქართველოდან: ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი.

ილიას უნივერსიტეტი მონაწილეობს გარემოს დაცვის სამაგისტრო, ხოლო თესაუ კი სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამით.

პროექტის კოორდინატორია გერმანიის ქალაქ გოტინგენის GEORG-AUGUST-ის უნივერსიტეტი.

**პროექტის განხორციელების მიზანია:**

- სატყეო საქმის კურიკულუმების დახვეწა ბოლონიის პროცესის სტანდარტების შესაბამისად
- სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის ჩამოყალიბება და აკრედიტაციის გავლა
- სტუდენტების მიერ მეტყვეობის განვითარების თეორიული საფუძვლების და შესაბამისი პრაქტიკის გავლით კორომთა აღდგენა-განახლების, ტყეების აღრიცხვა-შეფასების, ინვენტარიზაციის და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების უნარ-ჩვევების გამოყენება

- საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთობის განვითარება ევროპისა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის.
- მანუჯერების და მეცნიერების მომზადება და ეფექტური გზების დასახვა ურთიერთობების განსახორციელებლად
- კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ უნარი, თავიანთი ცოდნით წარმატებით განახორციელონ რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები.

სატყეო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის შეთავაზებით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც ექნებათ უნარი, თავიანთი ცოდნით წარმატებით განახორციელონ რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები, აქტიურად დასაქმდნენ სატყეო სამმართველოების (სატყეო უბნების) და დაცული ტერიტორიების რეინჯერებად (სპეციალისტებად, გარემოს დაცვის ინსპექციაში-სპეციალისტებად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში, რომლებსაც ესაჭიროებათ სატყეო საქმის კვალიფიციური სპეციალისტები.

აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში.

#### **1. გერმანია – გოტინგენის GEORG-AUGUST –ის უნივერსიტეტი, 1-5 მარტი 2011წელი**

პროექტში მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა გააკეთეს საკუთარი სასწავლებლების პრეზენტაციები, გაგრძელდა მუშაობა სასწავლო პროგრამების ECTS –ზე გადაყვანასთან დაკავშირებით, გაკეთდა პრეზენტაციები საკითხებზე: ა) ბოლონიის პროცესი გერმანიაში ბ) არსებული კურიკულუმების განახლება.

მოეწყო გაცნობითი ვიზიტი სატყეო ეკოლოგიის ფაკულტეტზე და ფაკულტეტის ხე-ტყის გადამამუშავებელ საამქროებში.

#### **2. საქართველო –ი . გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 18-22 აპრილი 2011წელი და 2-4 დეკემბერი 2011 წელი**

ეს შეხვედრები დაეთმო სატყეო საქმის სასწავლო პროგრამის ძირითადი სასწავლო საგნების დასახელების, კრედიტების რაოდენობის და სასწავლო სემესტრების მიხედვით მათი გადანაწილების საკითხებს.

**3. პოლონეთი, ვარშავა 27–30 მარტი 2012 წელი- ვარშავის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი**

ვარშავაში წარდგენილი იქნა ინფორმაცია სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, საბოლოოდ დამტკიცდა პროგრამის სპეციალობის კურიკულუმში შესატანი დისციპლინათა ნუსხა კრედიტების რაოდენობის, სასწავლო სემესტრების, საგანთა კოდების და პრერეკვიზიტების მითითებებით. შემდეგი შეხვედრისათვის უნდა წარგვედგინა ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამები. ამ პროგრამებში სპეციალობის კურსკულუმში ნაცვლად მანამდე არსებული 120 კრედიტისა საერთო შეთანხმების საფუძველზე გაიზარდა 132-მდე, რამაც ჩვენი სასწავლო პროგრამის მოცულობა შესაბამისად გაზარდა 240-დან 252-ECTS-მდე;

**4. ყაზახეთი ასტანა- ს.სეიფულინის სახ.აგროტექნიკური უნივერსიტეტი**

**20-21 ივნისი 2011 წელი**

ასტანაში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთ საკითხთა განიხილებოდა სატყეო საქმის კურიკულუმების დახვეწა და რამდენად შესაძლებელი იყო ამ კურიკულუმების დანერგვა ჩვენს უნივერსიტეტში, სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის ჩამოყალიბება და აკრედიტაციის გავლა.